ხელშეკრულებასახელმწიფოშესყიდვებისშესახებ №52.

ქ.ლაგოდეხი 18ივლისი 2018წ.

ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

ერთიმხრივ ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი"ს/კ433105659 წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ცერცვაძეს სახით („შემდგომში შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. ლაგოდეხი, ქიზიყისN25 და მეორე მხრივ შ.პ.ს" გიემესისი"ს/კ439411361 დირექტორი მამუკა ქიმაძე(„შემდგომში მიმწოდებელი")იურიდიული მისამართი ქ. საჩხერ,სოფელი ჯრია ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1"ქვეპუნქტის შესაბამისად

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2 (ც) სასმელი წყლის ფილტრი CV 42900000- სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები CPV: 42912310 - წყლის გასაფილტრი აპარატურა მიწოდება.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1260(ათას ორას სამოცი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად 2018 წლის 18 ივლისი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ლაგოდეხში, ქიზიყისN25 , ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვის ცენტრი"

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო

ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება–ჩაბარების აქტი, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ლაგოდეხ,ქიზიყიN25 ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი".

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის დაშესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმეტის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი'' ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „ შემსყიდველს'' უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს'' მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი'' ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს–მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარიდან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი იმფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ღირებულების 5%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.1.3.ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდალური დღის განმავლობაში;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. ხელშეკრულების მოქმედებს ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30სექტემბერი.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების დამდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი"	შ.პ.ს „გიემესი"
ს/კოდი: 433105659	ს/კოდი: 439411361
მის: ქ. ლაგოდეხი, ქიზიყის N25 :	ქ.საჩხერე სოფ.ჯრია ,
ს.ს. „ლიბერთი ბანკი'	'ს.ს. „საქართველოს ბანკი''
ბ/კოდი LBRTGE22	ბ/კოდიBAGAGE22
ანგ. N GE78LB0115129029887000	ანგ. N GE31BG0000000048459900
დირექტორი:	დირექტორი „მამუკა ქიმაძე"
ივანე ცერცვაძე/	/მამუკა ქიმაძე/

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. ლაგოდეხი 18,07,2018წ

აქტი შედგენილია მასზედ, რომ ააიპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-ს დირექტორს ივანე ცერცვაძეს (შემდგომში „შემსყიდველი") და შპს „ჯიემესი"-ს დირექტორის მამუკა ქიმაძე(შემდგომში „მიმწოდებელი") შორის 2018 წლის 18 ივლის გაფორმებული N 52 ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის საერთო ღირებულებით1260 (ათას ორას სამოც) ლარი,საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის ჩათვლით.

ჩააბარა:

შპს „გიემესი"-ს დირექტორის მამუკა ქიმაძე

საქართველო. შპს „გიემეს" GMS 439411361 GEORGIA. GMS LTD

მიიღო:

ააიპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-ს

დირექტორი: ივანე ცერცვაძე

ააიპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი" LAGODEKHI SERVICE CENTER 43105659 GEORGIA

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ.ლაგოდეხი 16,ივლისი2018

ჩვენ,მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ N 52გაფორმებული ხელშეკრულება,გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების"შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის"მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ,შ.პ.ს"ჯიემესი"მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

ა.ა.იპ"ლაგოდეხის სერვის ცენტრი":დირექტორი /ივანე ბერიკაძე/

შ.პ.ს „გიემესი"დირექტორი „ მამუკა ქიმაძე"